ხელშეკრულება №49

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი,

18 აგვისტო 2017 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის #16 ბაგა-ბაღი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის - მარინე ჩიხლაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს 2+1 (ს.კ. 418465529 შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის კონსტანტინე ბერიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად (მხარეთა შესყიდვაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა დასახელების საკანცელარიო ნივთების შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2.

CPV კოდი -	თანხა
30100000	160 ლარი
22800000	64,50 ლარი

1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 224,50(ორას ოცდაოთხი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. გორი,ირ. აბრამაშვილი ქ #9).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.
5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 20%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის #16 ბაგა-ბაღი ს/კ 21877998 მის: ქ. გორი ირ. აბრამაშვილის ქ#9 ტელ: 551 317 777 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE92LB0115150001589000 **დირექტორი** **მარინე ჩიხლაძე** _____ (ხელმოწერა) ბ.ა	**შპს 2+1** ს/კ 418465529 მის.: ჭავჭავაძის. ქ.# ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,, თიბისი ბანკი " ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE10TB7923036020100004 **დირექტორი** **კონსტანტინე ბერიძე** _____ (ხელმოწერა) ბ.ა

ქ. გორის მუნიციპალიტეტის №16 სკოლამდელი აღზრდის საბავშვო ბაღი * 21877998

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია: სხვადასხვა დასახელების საკანცელარიო ნივთები,

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ფერადი ქაღალდი A4 80გრ 250(ფურცლ) 855	შეკვრა	3	8,5	25,5
2	ვატმანი თეთრი	ცალი	30	0,8	24
3	სტიკერი LL-001	ცალი	5	3	15
4	კალამიPIANO PT-338	ცალი	20	0,5	10
5	მექანიკური ფანქარი 1556	ცალი	10	0,6	6
6	ფერადი ფანქარი12 ფმპ -183212	ცალი	30	3,8	114
7	ფლომასტერი ხილის 10ფ 808-10	ცალი	20	1,5	30
სულ ღირებულება					224,50 ლარი

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის #16 ბაგა-ბაღის

დირექტორი ---------- /მარინე ჩიხლაძე/

შპს 2+1 ---------- /კონსტანტინე ბერიძე/

მიღება-ჩაბარების აქტი

18 აგვისტო 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის №16 ბაგა-ბაღის დირექტორის მარინე ჩიხლაძის სახით "შემსყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ შპს 2+1 მისი დირექტორის კონსტანტინე ბერიძის სახით "მიმწოდებლად" წოდებული ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 18 აგვისტოს დადებული №49 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვადასხვა დასახელების საკანცელარიო ნივთები, "მიმწოდებელმა " ჩააბარა ხოლო "შემსყიდველმა" ჩაიბარა. საქონლის მთლიანი ღირებულებაა 224,50 (ორას ოცდაოთხი ლარი და 50 თეთრი) ლარი.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

"შემსყიდველი" "მიმწოდებელი"

მიიღო: ჩააბარა:

---------- ----------

მ. ჩიხლაძე კ. ბერიძე